შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“

ქ. თბილისი

17 მაისი 2018 წელი

კომისიის სხდომის

ოქმი N 1

დღის წესრიგი:

ელექტრონული ტენდერის **(SPA)** საშუალებით ქუთაისი (წყალტუბოს გადასახვევი)-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის საავტომობილო გზის კმ 113 - კმ 125 მონაკვეთზე, პკ 28+60-ზე, მდინარე სგრიმრაშურზე ფოლად-რკინაბეტონის ხიდის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა.

მოისმინეს:

კომისიის წევრების გამოსვლა, რომელშიც აღინიშნა, რომ კომპანია ახორციელებს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი (წყალტუბოს გადასახვევი)-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის საავტომობილო გზის კმ 113 - კმ 125 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებს. დაგეგმილი სამუშაოების საწარმოებლად საჭიროა შესყიდული იქნეს ფოლად-რკინაბეტონის ხიდის მოწყობის სამუშაოები;

კომისიის აპარატის წევრმა მარიამ ბოჭორიშვილმა კომისიას დასამტკიცებლად წარუდგინა სატენდერო განცხადებისა და სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი;

კენჭისყრის შედეგების მიხედვით, სატენდერო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს ზემოთ აღნიშნული ელექტრონული ტენდერის გამოცხადების საკითხი.

კომისიამ დაადგინა:

1. მოწონებული იქნეს და დამტკიცდეს სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო განცხადებისა და სატენდერო პირობების პროექტი და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის #12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად გამოცხადდეს ელექტრონული ტენდერი;
2. შესასყიდი სამუშაოების სავარაუდო ღირებულება განისაზღვროს 858,106.00 ლარით, დღგ-ს გათვალისწინებით;
3. წინადადების მიღების ვადად განისაზღვროს 2018 წლის 07 ივნისი;
4. წინადადების შეთავაზების ფასის კლების ბიჯი განისაზღვროს 8,581.00 ლარით;
5. დაევალოს კომისიის აპარატს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო პირობების სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსება.

კომისიის წევრები:

---------- გიორგი შენგელია (კომისიის თავმჯდომარე)

---------- მიხეილ გიორგაძე

---------- ვახტანგ გოგია

---------- ზაზა სოლომნიშვილი

---------- შალვა შავიშვილი

---------- გიორგი ჩოჩია

კომისიის აპარატის წევრი:

---------- მარიამ ბოჭორიშვილი